პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

საკვლევი თემა:

მსჯელობის წერილობითი ფორმით გადმოცემის პრობლემები და მათი გადაჭრის გზების ძიება

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლია ილურიძე

წეროვანი,2019 წ.

სარჩევი

შესავალი

თავი I.

საკვლევი საკითხის მიმოხილვა ---------- 5

1.1. მოკლე ინფორმაცია მე-8 კლასის მოსწავლეთა შესახებ ---------- 5

1.2. პრობლემა და საკვლევი საკითხი ---------- 5

1.3. პრობლემის გამომწვევი მიზეზები ---------- 7

1.4. კვლევის მიზანი ---------- 7

1.5. კვლევის ამოცანები ---------- 8

თავი II.

ლიტერატურის მიმოხილვა ---------- 9

თავი III.

კვლევის დიზაინი ---------- 14

3.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი ---------- 14

3.2. კვლევის მეთოდები ---------- 14

3.3. კვლევის ვადები ---------- 14

თავი IV.

კვლევის შედეგები ---------- 15

4.1. მონაცემთა ანალიზი ---------- 15

4.2. კვლევის მიგნებები ---------- 18

4.3. შესაძლო ინტერვენციები ---------- 19

4.4. განხორციელებული ცვლილებები---------- 20

თავი V.

რეკომენდაციები ---------- 30

ინტერვენციების შეფასება ---------- 31

თავი VI.

დასკვნა ---------- 34

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 35

დანართები ---------- 38

რეფლექსია ---------- 45

შესავალი

ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის (უპირველესად კი, მომავალი მოქალაქისთვის) გასაცნობიერებელია ის, რომ ჩვენს კულტურულ ფასეულობათა შორისაა ,,ჩვენი ენა ქართული,“ როგორც სადამწერლობო ენა, და პატივია,ჩვენივე ანბანის წყალობით, დროსა და სივრცეში შეუზღუდავად გამოვხატავდეთ აზრს.

21-ე საუკუნე ახალ გამოწვევებს გვთავაზობს. თანამედროვე კულტურულ-ეკონომიკურ თუ ტექნოლოგიურ სივრცეში მეტ აქტუალობას იძენს მოსწავლეთათვის ისეთი ხარისხის განათლების მიცემა, იგი, პასიური ცოდნის შეძენის, თეორიული მასალის სავალდებულო დაგროვების ნაცვლად, თავად რომ გახდება შემოქმედი, ინტერესით ჩაერთვება საგაკვეთილო პროცესში, საკუთარი მოსაზრების ნათლად ჩამოყალიბებას მოახერხებს და, რაც მთავარია, აღარ დაიჩივლებს თაობიდან თაობას გადმოცეული ფრაზით: ,,თემებს ვერ ვწერ, მასწ!“

დღეს სწავლა-სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება წერით მეტყველებას ეთმობა, თუმცა სიმართლეს თვალს თუ გავუსწორებთ, ვაღიარებთ, რომ, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, ისევ გვიჭირს მოზარდებისთვის წერითი უნარ-ჩვევების განვითარება ახალი დაბრკოლებების ფონზე, როდესაც ,,წიგნს, საწერ მასალასა და ცოცხალ მეტყველებას უალტერნატივო კონკურენტი - ისტტექნოლოგია - გამოუჩნდა“ (ნინო მასურაშვილი - ,,წერითი მეტყველების განვითარება - სწავლა-სწავლების აქილევსის ქუსლი“).

საგანმანათლებლო რეფორმის მეშვეობით მნიშვნელოვნად შეიცვალა სწავლებისპროცესი ახლებური მიდგომებით, მეთოდებით, შედეგის გაზომვის ინსტრუმენტებით. მანამდეც არაერთ მეცნიერს, მშობლიური ენის გულშემატკივარს, მიუძღვნია (როგორც შუქია აფრიდონიძეს) ,,ჩვენი სკოლის გოგო-ბიჭებისათვის - ყველა ანოსა და ვანოსათვის“ სახელმძღვანელოდ, გამართული ქართულით საწერ-სასაუბროდ წიგნები, მაგრამ მოსწავლეთათვის კვლავაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება წერითი მეტყველების სწავლა, მასწავლებლებისთვის კი - სწავლება.

წინამდებარე ნაშრომი მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის მე-8 კლასში წარმართული კვლევის ანგარიშია, რომელშიც წარმოდგენილია წერითი მეტყელების პრობლემების გამომწვევი მიზეზები და მათი გადაჭრის გზების ძიება.

თავი I.

საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1. მოკლე ინფორმაცია მე-8 კლასის მოსწავლეთა შესახებ

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის მე-8 კლასში სხვადასხვა აკადემიური მოსწრების მქონე 24 მოზარდი ირიცხება, რომელთა ინტელექტუალური შესაძლებლობები მაიმედებს, დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლე საშუალო მოსწრების გახდეს, საშუალო კი - მაღალი მოსწრების. აღსანიშნავია, რომისინიაქტიურად არიან ჩართულნი საგაკვეთილო და სასკოლო ცხოვრებაში. მათთან მუშაობა ნამდვილი გამოწვევაა ჩემთვის.
ზოგადად, ქართულიენისა და ლიტერატურის სწავლების მრავალწლიანი გამოცდილების მიუხედავად, შემიძლია ვთქვა, რომ ყოველი ახალი კლასი ახალი აღმოჩენებით მიმდიდრებს პედაგოგიურ პრაქტიკას, მით უმეტეს ახლა, ამ კლასში კვლევის წარმართვით, იმედი მაქვს, როგორც მოსწავლეებს, ასევე მეც საინტერესო მიგნებები გველოდება სწავლება-სწავლის ბილიკებზე.

1.2. პრობლემა და საკვლევი საკითხი

ჩემი პედაგოგიური კვლევა ეფუძნება წერით მეტყველებაში არსებულ პრობლემებს მოსწავლეებისას, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მომავალს ქმნიან, ,,აი იას“ გამოყვანიდან სკოლის დასრულებამდე წერის უნარ-ჩვევებს რომ ივითარებენ, სიტყვას ეჭიდებიან საკუთარი თუ მასწავლებლის უდიდესი ძალისხმევის ფასად. სასკოლო ცხოვრებაშიკი პედაგოგი, უპირველესად, მკვლევარია წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზ-შედეგებისა, რათა ,,სიძნელე გზისა“ მოზარდებს რამდენადმეგაუადვილოს.
კვლევაზე ფიქრისას ჩემი ყურადღება მოსწავლეთა შემაჯამებელმადავალებებმა მიიპყრო.მათმაანალიზმა, შედეგებზე დაკვირვებამ ცხადყო პრობლემის სიმწვავე და

კიდეცგადამაწყვეტინაწერითი მეტყველების მიმართულებით კვლევის წარმართვასაბაზო საფეხურზე, კერძოდ, მერვე კლასში, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი (წერის მიმართულებით) გამოკვეთილად სწორედ მერვე კლასიდანგვავალებს მსჯელობის უნარის გასავითარებლად მუშაობას და ჩამოთვლილ ინდიკატორთაგან შემდეგსაც ვკითხულობთ: **„მოსწავლეს შეუძლია წერილობით გადმოსცეს საკუთარი თვალსაზრისი, იმსჯელოს კონკრეტულ საკითხზე სათანადო არგუმენტების მოხმობით“**(ქართ.VIII. 10.). მართალია, მეშვიდე კლასის სახელმძღვანელოში განსჯითი ხასიათის რამდენიმე ტექსტი შესწავლილი აქვთ და ცნებებს - თეზისი, არგუმენტი, დასკვნა - გაცნობილი არიან,მოზარდისთვის მსჯელობის უნარის განვითარება, მოგეხსენებათ,ნებისმიერ საკითხზე მხოლოდ რამდენჯერმე ყურადღების გამახვილებით შეუძლებელია, მით უფრო, ისეთი მნიშვნელობის მქონე პრობლემაზე, ერთდროულად წერასა და მსჯელობას რომ შეეხება.ასეთი დიდი მიზნის მისაღწევად კი თავდაუზოგავიშრომამოგვეთხოვებაროგორც მასწავლებელს, ასევე მოსწავლეს.

წერითი ნამუშევრების ანალიზითგამოვლინდა შემდეგი: მოსწავლეები ფაქტობრივ ცოდნას ავლენენ (რაც მათ ძლიერ მხარედ უნდა მივიჩნიოთ), მაგრამ უჭირთ მსჯელობა (ეს კი უმრავლესობისსუსტი მხარეა), რის გამოც საანალიზო დავალებებში შინაარსისპერიფრაზი სჭარბობს მსჯელობას.



შესაბამისად, ისმება შემდეგი კითხვები:

- რა იწვევს წერილობითი ფორმით მსჯელობის პრობლემებს?
- რატომ წერენ მოსწავლეები მსჯელობის ნაცვლად შინაარსს ან რატომ ტოვებენ პასუხის ადგილს ცარიელს?
- როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს, მსჯელობის წერილობითი ფორმით გადმოცემა რომ შეძლონ?

ანალიზის საფუძველზე იკვეთება

1.3. პრობლემის გამომწვევი მიზეზები:

- მოსწავლეების მთელი ყურადღებამიმართულიაფაქტობრივი მასალის დამახსოვრება-შესწავლისკენ;
- მოზარდებს გასავითარებელი აქვთ მსჯელობის უნარ-ჩვევები;
- სათანადოდ არ ფლობენ წერით სტრატეგიებს:უჭირთ საკუთარი თვალსაზრისის წერილობით ჩამოყალიბება, მოსაზრების ტექსტობრივი არგუმენტებით დასაბუთება, აზრის თანმიმდევრობით გადმოცემა, ე.წ. გადასვლებით ცალკეული ნაწილების დაკავშირება ენობრივი ფორმულირებით...

1.4. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანი გახლდათწერითი მეტყველების, კერძოდ, წერილობითი ფორმით მსჯელობის პრობლემებისგამომწვევიმიზეზების შესწავლა; გამოვლენილი პრობლემებისგადასაჭრელად გასატარებელი ღონისძიებების, საჭიროინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება;წერითი მეტყველების მიმართულებით მოსწავლეთა სწავლება-სწავლის ხარისხისგაუმჯობესება და მიღებულიშედეგების შეფასება.

1.5. კვლევის ამოცანები

- სათანადო ლიტერატურის გაცნობა;
- მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა მათივე წერითი ნამუშევრების საფუძველზე;
- მოსწავლეთა, მასწავლებელთა გამოკითხვა;
- მონაცემთა ანალიზი;
- ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება;
- შედეგების პრეზენტაცია;
- გამოცდილების გაზიარება.

თავი II.

ლიტერატურის მიმოხილვა

,,სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა),” - ვკითხულობთ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში (საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2004 წელი). ვფიქრობ, შემთხვევითი არაა, ჩამოთვლილ მიმართულებათა შორის პირველი ადგილი წერას რომ უჭირავს. გამოცდების ჩაბარებაც ხომ სწორედ წერით უწევთ მოსწავლეებსა თუ აბიტურიენტებს, არადა, ,,საყოველთაოდ ცნობილი მოსაზრებაა, რომ თანამედროვე მოსწავლეს და ზოგჯერ სტუდენტსაც კი უჭირს კარგი წერითი ნამუშევრის შექმნა. ეს მით უფრო თვალსაჩინოდ ვლინდება მაშინ, როცა მას ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი აზრის მწყობრად გამოთქმა ევალება. ამას ყველა აღნიშნავს - მასწავლებელიც, მშობელიც და თავად მოსწავლეც“ (,,წერის ტექნიკა,“ გ.შაბაშვილი, ნ. შარაშენიძე, თბილისი, 2008). დასახელებულინაშრომი შეეხება არგუმენტირებული ესეს წერის სწავლების სტრატეგიებს, რომელთა გათვალისწინებით,ვთვლი, მეტი შედეგით ვიმუშავებთ წერის მიმართულებით, კერძოდ, მოსწავლეებს მსჯელობის აგებასვასწავლით ეტაპების მიხედვით (ფაქტი, მოტივი, არგუმენტი, შეჯამება, დასკვნა), რაც, ერთი მხრივ, მათაზრის თანმიმდევრულად ჩამოყალიბებაში დაეხმარება, ასევე, უფრო ადვილად და ხარისხიანად შეასრულებენ იმას, რაც მათ ამგვარი პრინციპების არცოდნის გამო დიდ სირთულედ ეჩვენებოდათ. საკუთარი აზრის გამოთქმას, მის დასაბუთებას უკეთესად შეძლებენ წერილობითი ფორმით.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა მოზარდს აკისრებს ,,ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრებას (,,ა’’ პუნქტი) მისი მოქალაქედ, საზოგადოების წევრადჩამოყალიბების მიზნით, რისი მიღწევაც, ჩემი აზრით, შეუძლებელია, თუ წერითი მეტყველების განვითარებას, კერძოდ, წერილობითი ფორმით მსჯელობის

უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორც მეტად საშურ საქმეს, არ მივუდექით, ვინაიდან ,,აკადემიური განათლების მიღება კომპლექსური მიზნების მიღწევას ემსახურება, რომელთა შორის განმსაზღვრელი ადგილი ანალიტიკურ წერას უჭირავს. აკადემიური წერისას მთავარი მიზანი მკითხველის დარწმუნებაა. ეს კი მოითხოვს სათანადო სტრატეგიების შემუშავებას, რათა ავტორმა ეფექტურად გადმოსცეს თავისი მოსაზრებები... არგუმენტირების უნარი ეხმარება ადამიანს იდეების განვითარებასა და ორგანიზებაში, შეხედულებების დამაჯერებლობის შეფასებაში, ლოგიკური თანმიმდევრულობის დაცვასა და სათქმელის ნათლად და ეფექტურად წარმოდგენაში _ ყველა ეს უნარი ძალიან ღირებულია აკადემიური წერის ნებისმიერი ჟანრისათვის“ (მანანა ბოჭორიშვილი ,,არგუმენტირების თეორია და ანალიტიკური წერა“). ,,განათლების, როგორცსაზოგადოებრივიცხოვრებისერთ-ერთიუმთავრესი, სპეციალურიდარგის, არსებობისგანმავლობაშიწერისკულტურასგანსაკუთრებულიყურადღებაეთმობოდა. ესყურადღებასადღეისოდარათუშენელდა, არამედლამისსახელმწიფომნიშვნელობისპრობლემისსახემიიღო. შესაბამისად, თანამედროვეგანათლებისგადაუდებელამოცანადდგასწერისსწავლებისაუცილებლობა“(ნ. ღამბაშიძე, ,,ქართულილიტერატურისსწავლებისთეორიადაპრაქტიკა“). ძნელია, არ დაეთანხმო მოხმობილი სიტყვების ავტორს, მით უმეტეს, როცა ასე საგანგაშოა მოზარდთა წერის დაბალი კულტურა. სოციალური ქსელით გამომზეურებული ,,ნაწერებიც“ საკმარისია, წარმოვიდგინოთ, რა სიგრძე-სიგანისაა მოზარდთა ათასგვარი ბარბარიზმით, ჟარგონით ღვლარჭნილი, წერტილ-მძიმის უარყოფით, უმეტესად, გაუგებრად გამოთქმული აზრის სიმძიმე, რაც გულში მაინც გათქმევინებს - ,,წერა-კითხვის უცოდინარი შვილები გვყავსო.“ ამ ფონზე, ერთი მხრივ, წერის, მეორე მხრივ, მსჯელობის სწავლება-სწავლა ერთიორადზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას. საყურადღებოდ მიმაჩნია მოსაზრება: ,,წიგნიერება თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ძირითადი, საკვანძო კომპეტენციაა. კითხვისა და წერის უნარები მნიშვნელოვნად განაპირობებს ინდივიდის მოქალაქედ ჩამოყალიბებასა და მის წარმატებას საქმიანობის ნებისმიერ სფეროში... გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) წიგნიერებას განმარტავს, განსაზღვრის, გაგების, ინტერპრეტაციის, შექმნის, კომუნიკაციის, გამოთვლის, ამა თუ იმ კონტექსტთან

დაკავშირებული ნაბეჭდი და წერილობითი მასალის გამოყენების უნარ-ჩვევების ერთობლიობას (პ. პაპავა, თ. ჭანტურია, ,,წიგნიერება“).ნახსენებ ლიტერატურაში საინტერესოდაა განხილული, თუ როგორ ეჯაჭვება წერა და კითხვა, როგორც ერთი პროცესის ორი მხარე, სხვადასხვა საინტერესო აქტივობით ერთმანეთს. გზამკვლევში მოცემული პრაქტიკული მეთოდების მეშვეობით, ვფიქრობ, მასწავლებელი შეძლებს მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვა-ჩატარებას იმ მიზნით, მოზარდს წაკითხულის გააზრებასთან ერთად წერილობითი ფორმით მსჯელობის უნარ-ჩვევები რომ განუვითაროს.

,,წერითი მეტყველების სწავლება ურთულესი საკითხია. განათლების რეფორმის შედეგად შემუშავებული სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად, სწავლების ეს ასპექტი უფრო და უფრო მნიშვნელოვანი და სავალდებულო ხდება, რადგან წერა, ალბათ, ყველაზე მეტად განაპირობებს სწავლას და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ფენომენის აღმოჩენის, ღრმა წვდომისა და აზროვნების პროცესის წარმართვას“ (ქ. თოფაძე, ,,წერითი მეტყველების სწავლების სტრატეგიები“).ჩემი აზრით, დასახელებულ ნაშრომში შემოთავაზებული სტრატეგიები მნიშვნელოვანია ერთფეროვანი გაკვეთილების იმ მხრივ შესაცვლელად, მოსწავლეებს მეტი ინტერესი რომ გავუღვიძოთ წერითი დავალებების შესასრულებლად და აქტიურად, ხალისით ჩავრთოთ სასწავლო პროცესში. უდავოდ გასაზიარებელია აზრიც, რომ საგაკვეთილო პროცესში წერისთვის გარკვეული დრო სისტემატურად უნდა გამოვყოთ, რათა საგაკვეთილო პროცესში არა მხოლოდ აზრის მწყობრად ჩამოყალიბებას მივაღწიოთ , არამედ მსჯელობის სწავლებამდეც მივიდეთ, მოზარდებსშესაბამისი უნარ-ჩვევები განვუვითაროთ.

ზოგადად, საგანმანათლებლო დაწესებულების ცხოვრებას, მის კულტურასა თუ საჭიროებებს მისი მდებარეობა, სოციო-კულტურული გარემო მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს. ჩვენი სკოლა ამ მხრივ,რასაკვირველია, საერთო ჭირისა და სიხარულის მოზიარეა, თუმცა, ჩვენი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, განსაკუთრებულიც, რადგან ვინ, თუ არა ჩვენ, ვიაზრებთ, როგორც ილია იტყოდა, ,,დროის შესაფერისი ცოდნის“ შეძენის აუცილებლობას, კრიტიკული აზროვნების უალტერნატიობასა და შავით თეთრზე, უპირველესად, საქვეყნო პრობლემების მოგვარების საჭიროებას - ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებით ჩვენს სამკვიდროში დაბრუნების ფიქრსა და საქმეში. ყოველი ჩვენგანი კარგად ვაცნობიერებთ

მისიას - მოსწავლეს მივცეთ არა უბრალოდ აკადემიური ცოდნა, ,,ინფორმაციისმოცულობასადამექანიკურდამახსოვრებაზეორიენტირებული...რაცგავლი ლიეტაპია (ნინო ლომიძე ,,კრიტიკული აზროვნების შესახებ“),არამედ განვუვითაროთ ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ (დევნილის სტატუსის ისედაც მძიმე ჯვრად მატარებელთ) საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებაში, ცხოვრების მიზნის დასახვასა და მის მიღწევაში რომ დაეხმარება.

კოლეგებს ხშირად აღგვინიშნავს, რომ კვლავაც ,,აქილევსის ქუსლად“ რჩება წერითი მეტყველების სწავლება, კერძოდ, წინადადების კონსტრუირება, აზრის გასაგებად გადმოცემა, მსჯელობის დასაბუთება, პუნქტუაცია, ტექსტის იდეურ-მხატვრული ანალიზი... თუმცა ფარ-ხმალს არ ვყრით, ბრძოლას ვაგრძელებთ, ვსწავლობთ, რათა ვასწავლოთ, ვიკვლევთ, რადგან კარგად მოგვეხსენება, ,,იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი მივმართოთ მომავლისაკენ, მოსწავლეებს უნდა განვუვითაროთ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ რთული ცხოვრებისეული საკითხების მოგვარებაშიდაეხმარება. ,,წერის უნარ-ჩვევების განვითარება მასწავლებლის მიერ ხვალინდელ დღეზე ფიქრისა და ზრუნვის გამოხატულებაა. კომუნიკაციის ამ უმთავრესი საშუალების გარეშე გაუჭირდება ადამიანს ცხოვრების გზის გაკვალვა. თავისი ნაფიქრისა და ნააზრევის ორიგინალურად და საინტერესოდ ჩამოყალიბება წერილობით ხშირად გამხდარა ადამიანებისთვის ახალი ცხოვრების დაწყების საწინდარი“ (,,როგორ განვუვითაროთ მოსწავლეებს წერისუნარ-ჩვევები, “მ. ფარეხელაშვილი).

როცა წერილობითი ფორმით მსჯელობის პრობლემებს ვეხებით, საყურადღებოდ მიმაჩნიაგათვალისწინება წერის პროცესის შესახებ ცნობილ ადამიანთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა, რომელთა გაცნობა ნათლად გვიჩვენებს, რას განიცდის, თუ ფიქრობს, რა ბარიერების გადალახვა უწევს ადამიანს წერის თანადროულად:

,,როცა გადავწყვიტე მწერლობისთვის მომეკიდნა ხელი, ქართულ წიგნს შევეკედლე... ლექსიკონი, სასულიერო წიგნები და, საერთოდ, კლასიკოსები - აი, ჩემი ყოველდღიური ენობრივი ულუფა. განუწყვეტელი ვარჯიშობა - აი, წინდი ყოველგვარ ხელობის გამარჯვებისა“ (მ. ჯავახიშვილი, ,,როგორ ვმუშაობ“).

,, როდესაცვამბობ, რომნებისმიერიეპიზოდიდანშემიძლიადავიწყოწერა, ესიმიტომაა, რომარვიცი, დასაწყისიაისთუდასასრული. უბრალოდ, როდესაცწერასვიწყებ, ესდასაწყისია, მაგრამჯერკიდევარვიციხოლმე, ასედაიწყებათუარა *ნაწარმოები*; უბრალოდ, ვწერდახშირადმკაფიოწარმოდგენაარა მაქვსდასასრულისშესახებ – არვიცი, რამოხდებაშემდგომ. მოვლენებიმხოლოდთანდათანობით, თხრობისგანვითარებისას, იძენსმკაფიოკონტურებსდაუეცრადდასასრულიცწარმომიდგება“ (ინტერვიუ ხულიო კორტასართან).

,,მასობრივიინფორმაციისაუდიოვიზუალურისაშუალებებივერჩაენაცვლებალიტერატურას: ისინივერასწავლიანადამიანს, ძალდაუტანებლადდაოსტატურადგამოიყენოსსიტყვისუმდიდრესიშესაძლებლობები“ (მარიოვარგასლიოსა – ,,სამყაროროომანებისგარეშე“).
,,როგორც კი გადაწყვეტთ ვის მიმართავთ, აუცილებლია ისიც გავაცნობიეროთ, თუ როგორ ვწეროთ. ეს რთული საკითხია: ზუსტი წესები რომ არსებობდეს, ყველა დიდი მწერალი იქნებოდა. შემიძლია მხოლოდ ერთი რამ გირჩიოთ: ნაშრომი რამდენჯერმე გადაწერეთ, ანდა მანამდე სხვა რამ დაწერეთ, ვინაიდან წერა ჩვევის საკითხია“(უმბერტო ეკო, ,,როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი“).
,,ბავშვიშესანიშნავადლაპარაკობსმშობლიურენაზე, მაგრამვერაფრითახსნისგრამატიკულწესებს. მხოლოდლინგვისტმაროდიიცისკარგადგრამატიკა: ისბავშვმაცმშვენივრადიცის, უბრალოდარიცის, რომიცის. მხოლოდლინგვისტმაიცის, რატომდაროგორიცისბავშვმასაკუთარიენა...”(უმბერტო ეკო ,,ვარდის სახელი“).

ვფიქრობ, ზემოაღნიშნული ციტატები ის საიმედო საყრდენია, ჩვენ და მოზარდებს სასოწარკვეთილს რომ არ დაგვტოვებს, მეტიც, იმედითა და ბრძოლის სურვილით განგვაწყობს წერის შიშის დასამარცხებლად და გზასაც გაგვიკვალავს წერითი მეტყველების სწავლება-სწავლის პრობლემების მიზეზშედეგობრიობის ძებნისას და, რაც მთავარია, მისი გადაჭრის გზებსაც აღმოგვაჩენინებს.

თავი III.

კვლევისდიზაინი

3.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი

1.მე-8 კლასის21 მოსწავლე

2.ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები

3.2. კვლევის მეთოდები

თვისებრივი და რაოდენობრივი:

1. მოსწავლეთა ანკეტირება(ანონიმური)

2. მასწავლებელთა ანკეტირება (ანონიმური)

3. ინტერვიუ მასწავლებლებთან

4. ფოკუსჯგუფიმოსწავლეებთან

3.3. კვლევის ვადები:

სამი თვე (ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი)-2018წ.

ოთხი თვე (თებერვალი-მარტი-აპრილი-მაისი)-2019წ.

თავი IV.

კვლევის შედეგები

4.1. მონაცემთა ანალიზი

მაქსიმალურად სარწმუნო მონაცემების მოსაპოვებლად ავირჩიე როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. საყურადღებოდ მიმაჩნია მოსაზრება: ,,,მასწავლებელმა უნდა შეაფასოს არამარტო წერის პროცესი და პროდუქტი, არამედ მოსწავლის დამოკიდებულება წერის მიმართ“ (,,მასწავლებლის წიგნი,“ მ. ინასარიძე). ამიტომ,პირველ რიგში,ფოკუსჯგუფის მეშვეობით მოსწავლეთა წერისა თუ კითხვის მიმართ დამოკიდებულების (ზოგადი ფონის) შესწავლა განვიზრახე, რაც კვლევის სწორად წარმართვასა და კითხვარის მომზადებაში დამეხმარა(იხ. დანართი1.).მასწავლებლებთან ინტერვიუმ(იხ. დანართი 2.) საშუალება მომცა, ჩავღრმავებოდი მიზეზებს, რატომაც უძნელდებათ მოსწავლეებს წერა. ფოკუსჯგუფისა და ინტერვიუსათვის წინასწარ მქონდა შედგენილი კითხვარები.

რაოდენობრივი მეთოდის ინსტრუმენტებიდან გამოვიყენე ანკეტირება როგორც მოსწავლეებთან, ასევე მასწავლებლებთან და მონაცემები დავახარისხე. გამოვლენილმაპრობლემებმა და ჩემი მოსწავლეების საჭიროებების შესწავლამ საშუალება მომცა, მიზანმიმართულად დამეგეგმა ჩემი საქმიანობა.

მოსწავლეთა ანკეტირებამ ნათლად დამანახვა, რომ ისინი წერას, როგორც უნარ-ჩვევას, კითხვასთან შედარებით, ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.შედეგი ასეთია:

როგორ ფიქრობთ, ჩამოთვლილ უნარ-ჩვევათაგან რომელია ადამიანისთვის მთავარი?

1. კითხვა---76%

2. წერა---10%

3. ორივე ერთად---14%

აქედან გამომდინარე, გასაგებიცაა ასეთი დიდი პრობლემების არსებობის მიზეზი წერით მეტყველებაში. შეიძლება დავასკვნათ, რომ თვით მოზარდთა წერის მიმართ არასწორი დამოკიდებულებაა საფუძველი დაბალი წერის კულტურისა.

რაც შეეხება წაკითხული ლიტერატურის შესახებ მსჯელობას, რამაც მოზარდს სააზროვნო უნარ-ჩვევები უნდა განუვითაროს,მდგომარეობა ამ მხრივაც არასახარბიელოა. მოზარდთა საუბარი თითქმის არ შეეხება წიგნებს და წაკითხულის შესახებ საუბარს. აღმოჩნდა, რომ წაკითხული წიგნის შესახებ მეგობრებთან მსჯელობს

1.ყოველთვის ---9%

2.იშვიათად--- 24%

3.არასოდეს--- 67%

წერითი დავალების სისტემატურად შესრულების პროცენტული მაჩვენებელი ასეთია:

1.ყოველთვის----19%

2.ხანდახან (კვირაში ერთხელ ან ორჯერ)--- 52%

3.არასდროს---29%

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მასწავლებელთა ანკეტირება იმის შესახებ, თუ როგორი ტიპის წერითი დავალებების შესრულება უჭირთმოსწავლეებს განსაკუთრებით. აღმოჩნდა, რომ ჩამოთვლილთაგან ყველა მსჯელობის წერილობითი ფორმით გადმოცემას მიიჩნევდა პრობლემად.

1.შესწავლილი ტექსტის კითხვებზე პასუხი

2.ტექსტის პერიფრაზი

3. შესწავლილი ტექსტის შესახებ მსჯელობა

კითხვაზე, მოზარდებს წერის უნარ-ჩვევის განვითარებაში დაეხმარებოდა თუ არა განმავითარებელი შეფასება, პედაგოგთა პასუხი ასეთია:

1.დიახ ---28%

2.არა --- 14%

3.მეტ-ნაკლებად --- 58%

მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგი ჩემთვის არა მარტო პასუხი იყო, არამედ მათი დამოკიდებულების მაჩვენებელიცგანმავითარებელი შეფასების მიმართ. რადგან მე სხვაგვარად ვფიქრობდი, გადავწყვიტე, რომ განმავითარებელი შეფასება კვლევის მიზნის მისაღწევ ერთ-ერთ საშუალებად გამომეყენებინა.

ზოგადად, საკვლევითემის ირგვლივ საინტერესო და საჭირო ინფორმაცია მომაპოვებინაკოლეგებთან ინტერვიუმ. იგი ნაყოფიერი აღმოჩნდა იმითაც, რომ წერის პრობლემების მიზეზშედეგობრიობას მასწავლებელთაგან აღნიშნულიარანაკლებად ყურადღებამისაქცევი გარემოებები დაემატა, როგორიცაა:

- მოსწავლეების ცარიელი ფურცლის მიმართ შიში (განსაკუთრებით უჭირთ მსჯელობის დაწყება);
- ზეპირმეტყველებაში მოპოვებული მაღალი ქულა, წერით დავალებასთან შედარებით, და მის გამო წერითი დავალების მიმართ პროტესტი;
- გაკვეთილზე ნაკლები დროის დათმობა წერითი მეტყველებისთვის;
- ტექსტებით გადატვირთული სახელმძღვანელო, რის გამოც მასწავლებელი უფრო მეტად პროგრამის გავლით (ფაქტობრივი ცოდნით) ინტერესდება, ვიდრე სწავლების ხარისხითა და მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორების მიხედვით მუშაობით.

გულწრფელი თვითკრიტიკით აღნიშნეს ისიც, რომ ერთობლივად არ განვიხილავთ და არ ვეძიებთ წერის პრობლემების გადაჭრის გზებს, ნაკლებადვუზიარებთსაკუთარპედაგოგიურგამოცდილებასერთმანეთს.

4.2. კვლევის მიგნებები

მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი მიგნებები:

- მოზარდები სათანადოდ არ ფლობენ დისკუსიის წარმართვის უნარ-ჩვევებს, რის გამოც პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა ეძნელებათ;
- ნაკლები იციან წერის ეფექტურისტრატეგიების შესახებ;
- დაუძლეველი აქვთ ცარიელი ფურცლის შიში;
- მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება და მასზე მსჯელობა უჭირთ;
- საკუთარი მოსაზრების დასაბუთება სათანადო არგუმენტებით ეძნელებათ;
- ასამაღლებელი აქვთ წიგნიერების დონე,რაცლექსიკას გაუმდიდრებდათ და ნაწერში ტავტოლოგიურ შეცდომებს შეამცირებდა;
- უჭირთ ენობრივი ფორმებით წერა;
- ნაკლები დრო ეთმობა გაკვეთილზე წერილობითი ფორმით მსჯელობას;
- უყურადღებოდ რჩება მოსწავლეთათვისთანამშრომლობის უნარ-ჩვევის განვითარება;
- ერთფეროვანია წერითი დავალებები, რაც მოსწავლეების მოტივაციას ამცირებს;
- წერითი ნამუშევრების შესწორებისას არ ვიყენებთგანმავითარებელ შეფასებას.

4.3. შესაძლო ინტერვენციები

მონაცემთა ანალიზისა და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე დავგეგმე შემდეგი ინტერვენციები:

- საკლასო დისკუსია სხვადასხვათემაზე;
- მხატვრულიტექსტის გაგება-გააზრების, მასზე მსჯელობის უნარის განვითარება;
- ეფექტური წერითი სტრატეგიების გაცნობა და მათი გამოყენებისთვის სათანადო აქტივობებით გაკვეთილის წარმართვა;
- მოსწავლეებთან ერთად შესაბამისი სირთულის თეზისების შერჩევა არგუმენტირებული ესეების დასაწერად, რაც კრიტიკულ აზროვნებას განუვითარებთ;
- ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად მუშაობა;
- თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიების გამოყენება;
- სპეციალური საქაღალდის შექმნა მოსწავლეთა ნამუშევრებისათვის და მათიგანმავითარებელი კომენტარებით შეფასება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

4.4. განხორციელებული ცვლილებები

I ინტერვენცია

უპირველესად,მოსწავლეებს გავაცანი კვლევის ,,ლიტერატურაში“ დასახელებულ მწერალთა გამოცდილება, კერძოდ, როგორ წარმართავენ დიდ წიგნთა ავტორები წერის პროცესს. მათი მწერლებად ჩამოყალიბების ,,საიდუმლო“ მოხმობილ ციტატებში თვითონვე აღმოაჩინეს სიტყვებში: ,,განუწყვეტელი ვარჯიშობა,“ ,,უბრალოდ, ვწერ,“ ,,წერა ჩვევის საკითხია“...

მოსწავლეების კრიტიკული აზროვნების წასახალისებლად დავსვი პრობლემური კითხვა: არის თუ არა წერა ადამიანის ერთ-ერთი მთავარი უნარ-ჩვევა? რითაც ხელი შევუწყვე კლასის დისკუსიაში ჩართვას.

საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მსჯელობამ,მოხმობილმა არგუმენტებმა თუ კონტრარგუმენტებმა (დაფაზე ორსვეტიან ცხრილში ჩამოწერილმა) ყველა მოსწავლისთვის ცხადი გახადა, რომ წერა, როგორ ტექნიკურ პროგრესსაც უნდა მივაღწიოთ, ყოველ დროს უნდა ისწავლოს ადამიანმა.რაც მთავარია, დისკუსიამ საშუალება მოგვცა, შევჯერებულიყავით გადაწყვეტილებაზე - ყოველდღიურად გვეწერა (თუნდაც 5 წუთის განმავლობაში). ეს სიახლე დაგვეხმარებოდა, რომ ,,წერა ჩვევად“ გვექცია, ,,განუწყვეტელი ვარჯიშობა“ - დასახული მიზნის საშუალებად.საუბრის შემდეგ კი ნაფიქრ-ნააზრევზე დაყრდნობით დავწერეთ მცირე ესე: ,, წერა - ჩემი წარმატების საშუალება.“

დისკუსიას, არა მხოლოდ საგაკვეთილო თემის პრობლემებზე არგუმენტირებული მსჯელობის საშუალებას, არამედ როგორც ერთ-ერთ საუკეთესო წინაპირობას ცარიელი ფურცლის შიშის დასაძლევად, ხშირად მივმართავ. მისი მეშვეობით მოზარდები მეტი გაბედულებით იწყებენ წერას და არგუმენტირებულ მსჯელობას ეჩვევიან.

II ინტერვენცია

მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებისა და მასზე მსჯელობის უნარის გასავითარებლად ვიყენებ შემდეგ სტრატეგიებს:

ა) წინარე ცოდნის გააქტიურება;
ბ) სათაურის შესახებ ვარაუდების გამოთქმა;
გ) კითხვა კომენტარებით;
დ)საკვანძო სიტყვების/ფრაზების გამოკვეთა;
ე) მხატვრული ხერხების მიზანდასახულობაზე მსჯელობა;
ვ) მსჯელობის არგუმენტებით დასაბუთება;
ზ) პარალელების გავლება;
თ) ტექსტის იდეურ-მხატვრული ანალიზი;
ი) ანალიტიკური ესე.

წინარე ცოდნის გასააქტიურებლად ტექსტის წაკითხვამდე ფაზაში მივმართავ ,,სამწუთიანი ესეის"სტრატეგიას. ჩემ მიერ მითითებული საკვანძო სიტყვის/ცნების საფუძველზე მოსწავლეები წერენ თავიანთ აზრებს და, სურვილისამებრ, კითხულობენ აუდიტორიის წინაშე.

შესასწავლი მასალის გასააზრებლად მოსწავლეებს განსაკუთრებით მოსწონთ ტექსტის მონაკვეთებად წაკითხვა და კომენტარების დართვა. მსჯელობა სახალისო ხდება, გამოთქმული აზრი - მრავალფეროვანი. ახალ მასალას ძველთან აკავშირებენ, პარალელებს ავლებენ ნაცნობ ტექსტებთან, საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წაკითხულის კარგად გააზრება თავისთავად ხდება წერილობითი ფორმით მსჯელობის წინაპირობა, ერთიანობაში კი - წიგნიერების ორი ფუნდამენტური უნარ-ჩვევის განვითარების საშუალება.

წერითი უნარ-ჩვევების გასავითარებლად ვიყენებ აქტივობას ,,ორმხრივი ჩანაწერების დღიური.“ ორსვეტიანი ცხრილის (ავტორი ამბობს - ჩემი ინტერპრეტაცია) ერთ მხარეს მოსწავლეები მნიშვნელოვან, საკვანძო სიტყვებს წერენ, მეორე მხარეს კი საკუთარ მოსაზრებას აყალიბებენ ნათქვამის შესახებ, თანაც უფრო გაბედულად, რადგან ამ შემთხვევაში კონკრეტული ფრაზის შესახებ უწევთ წერილობით საუბარი, ესესაგან განსხვავებით. ეს აქტივობა, ჩემი გამოცდილებით, ერთ-ერთ წინა მოსამზადებელ სამუშაოდაც შეიძლება გამოვიყენოთ, ვიდრე ,,სერიოზულ საქმეს“ (მაგ. ესეს დაწერას) დავავალებდეთ მოზარდებს.

ლიტერატურის დანიშნულება - უპასუხოს კითხვას: როგორ? უპირველესად, ტექსტის მხატვრულ ქსოვილზე საუბრისკენ გვიბიძგებს, რის მეშვეობითაც კიდეც ვახერხებთ ავტორის ემოციურ მიზანდასახულობასა თუ მის მთავარ სათქმელზე მსჯელობას. აქედან გამომდინარე, მხატვრულ ხერხებზე ყურადღების განსაკუთრებულად გამახვილება, მასზე სისტემატურად მუშაობა მრავალმხრივ ავითარებს მოზარდს და შეძენილ ცოდნას განსხვავებულ კონტექსტში წარმოაჩენინებს. ამ თვალსაზრისით, ხშირად მივმართავ აქტივობას ,,იდეურ-მხატვრული რეიტინგი.“

მოსწავლეები დაკვირვებით წაიკითხავენ ტექსტს და ამოკრებენ იდეურად და მხატვრულად ღირებულ ტაეპებს/ფრაზებს.მათგან ,,გამარჯვებულს“ კენჭისყრით გამოავლენენ. თავდაპირველად ზეპირმეტყველებით გადმოსცემენ საკუთარ მოსაზრებას, შემდეგ კი მის საფუძველზე წერილობით აანალიზებენ ავტორის სათქმელს. ასე, ბუნებრივად, ვაკავშირებთ ზეპირმეტყველებას წერასთან.

რაც მთავარია, მოსწავლეები ხალისით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში და თხზულების სათაურად მასწავლებლისგან მზა ფორმულირებით ბოძებული კი არა, საკუთარი გემოვნებით, სურვილით შერჩეული სათაური ხდება მათი წერითი დავალება მსჯელობითი ხასიათის ესეს შესაქმნელად.

IIIინტერვენცია

ეფექტური წერითი სტრატეგიების გასაცნობად და მათი გამოყენებისთვის სათანადო აქტივობებით გაკვეთილის წარსამართად ყურადღებას ვამახვილებ შემდეგ მეთოდებზე:

ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთისგან გამიჯვნა;
კითხვებზე (რა?რატომ? როგორ?) პასუხის გაცემა;
დეტალებზე დაკვირვება;
ინფორმაციის გააზრება-ინტერპრეტაცია;
პერსონაჟის პორტრეტის შექმნის ხერხებზე დაკვირვება;
შთაბეჭდილებების გადმოცემა;
საკუთარი თვალსაზრისის წერილობით ჩამოყალიბება

იქიდან გამომდინარე, რომ ამ ასაკის ბავშვებისათვის კონკრეტული აზროვნებაა დამახასიათებელი, ცნება ,,ფაქტის" გასაცნობიერებლად ვიყენებკონკრეტულვიზუალურ მასალას (ფოტო, სურათები...), რაცუადვილებთ იმის გააზრებას, რომ ფაქტია ის, რასაც კონკრეტული მტკიცებულება გააჩნია, მოსაზრება კი - რაც მის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ.

შეთავაზებული სურათის აღქმის შედეგად ავსებენ სამსვეტიან ცხრილს (სურათი, ფაქტი, მოსაზრება) და დაასათაურებენ. შემდეგ კი მის საფუძველზე მცირე ზომის ამბავს, მოთხრობას... წერენ. ამ სტრატეგიით მოსწავლეები წარმოსახვის უნარს ივითარებენ, საკუთარი განცდების, ემოციების გამოხატვას, შესაბამისი ლექსიკის შერჩევას სწავლობენ, რაც მთავარია, აღარ წუწუნებენ - რა დაწერონ და საკუთარ შთაბეჭდილებებსაც თამამად გადმოსცემენ.

,,ფიქრის კონსტრუირება" ერთ-ერთი სახალისო და საინტერესო აქტივობაა (ჯგუფებში სამუშაოდ), რომელსაც მოსწავლეებს მსჯელობის, საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბების უნარის გასავითარებლად ვთავაზობ რომელიმე ერთ სიტყვასთან

დაკავშირებით, მაგ. სამშობლო, ადამიანი, ცოდნა... მოსწავლეები თითო წინადადებას წერენ მორიგეობით. აქტივობა მოზარდს საშუალებას აძლევს საკუთარი ხედვა, შესაძლებლობები თანაკლასელის ფიქრთან კავშირში გადმოსცეს. ამავე დროს, თუ საჭირო გახდა, სიტყვითაც შეეწიოს გვერდით მჯდომს.

პერსონაჟის მხატვრულ სახეზე მსჯელობისას წინარე ცოდნის გააქტიურებით (რომ პერსონაჟის პორტრეტი იხატება მისი საცხოვრებელი გარემოს აღწერით, გარეგნობის გადმოცემით, დიალოგით, მეტყველებით, ფიქრით, მისი დამოკიდებულებებით, მოქმედებით...) ვიწყებთ ,,მზე-დიაგრამის“(აზრობრივი რუკის) შექმნას და გამოვკვეთთ გმირისთვისებებს. ეს გვეხმარება მის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გაჩენაში,შემდგომში კი შინაარსის დაწერის საფრთხის თავიდან არიდებაში. ჩვენი მთავარი საფიქრალი ხომ ისაა,რომ ფაქტობრივ მაგალითებს მოსწავლეები წარმოადგენდნენ პერსონაჟის თითოეულ თვისებაზე საუბრისას როგორც მტკიცებულებას და არა, როგორც ,,იყო და არა იყო რას.“

შევიმუშავებთ გეგმას, რომლის მიხედვითაც წარვმართავთ გმირის დახასიათებას. მარკირების მეთოდით ვინიშნავთ საჭირო სიტყვებს, ფრაზებს, რომლებსაც დახასიათებისას ჩვენი აზრების ,,სამკაულებად“ ვიყენებთ და ნამუშევარი მეტ დამაჯერებლობასა და სილამაზეს იძენს. წერაში შეფერხებისას უკვე დაწერილ ფრაზას ,,უხილავად“ დავუსვამთკითხვას - რატომ? რამაც შესაძლებელია ახალი აზრი დაბადოს და წერა გაგვაგრძელებინოს.

მოსწავლეებს ვაცნობ მწერალთა რჩევებს, რომელთა მიხედვითაც ჩვენთვის გასათვალისწინებელს რეურსად ვაქცევთ. ასე ჩნდებადიდი ფორმატის ქაღალდებზე ჩამოწერილი საჭირო დარიგებები, სათაურად: ,,მწერლები გვირჩევენ“(მაგ., ეკოს რჩევები: ,,წერეთ ყველაფერი,რასაც გაიფიქრებთ, მაგრამ მხოლოდ შავად ნაწერში,“ ,,არ წეროთ გრძელი წინადადებები,“ ,,ხშირად გამოიყენეთ აბზაცები,“ ,,ციტატა გამოიყენეთ საკუთარი მსჯელობის დასამტკიცებლად,“ ,,ლექსის დამოწმებისას ტაეპების წყობა ისეთივე უნდა იყოს, როგორც ეს აკადემიურ გამოცემაშია“...)

მოსწავლეებისთვის საკლასო რესურსია მათივე გრამატიკული შეცდომების საფუძველზე ჩამოწერილი რჩევები: ,,რომ“ კავშირის წინ მხოლოდ მაშინ იწერება მძიმე, თუ იგი ახალ წინადადებას იწყებს, აზრის დასრულებისას წერტილს ვსვამთ, განკერძოებული სიტყვა-გამოთქმები მძიმეებით უნდა გამოვყოთ,

მსჯელობისასგამოვიყენოთ ისეთისიტყვები, როგორიცაა: საგულისხმოა, საყურადღებოა, არანაკლებ მნიშვნელოვანია... რათა აბზაციდან აბზაცზე გადასვლა გავიადვილოთ).

IV ინტერვენცია

მოსაზრების არგუმენტებით დასაბუთება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია წერის სწავლება-სწავლის პროცესში, რისთვისაც, უპირველესად, არგუმენტირებული ესეს წერის პრინციპებსა და მის ეტაპებზევესაუბრები მოსწავლეებს.
გზადაგზა ვაცნობ ცნებების მნიშვნელობას, როგორიცაა: ფაქტი, მოტივი, არგუმენტი, შეჯამება, დასკვნა. ერთობლივად შერჩეული დებულების მიხედვით დაფაზე ვავსებთცხრილებს შესაბამისი კითხვების გასწვრივ (მაგ. ფაქტი - რა? მოტივი - რატომ? არგუმენტი - საიდან ჩანს? შეჯამება - რის თქმის საშუალებას გვაძლევს არგუმენტი? დასკვნა - საბოლოოდ რა დასკვნის გამოტანა შეიძლება მსჯელობის გათვალისწინებით?) ერთი მხრივ, წერის მიზანი მოსწავლის პიროვნულ გამოცდილებასა და ინტერესებთან რომ დავაკავშირო, მეორე მხრივ, წერითი დავალება ადვილად შესასრულებელიც რომ იყოს, მათთვის აქტუალურ თეზისებს ვთავაზობ: ,,კითხვა ადამიანის გონებას ავითარებს," ,,მოზარდს სკოლა აყალიბებს," ,,მიზნის მისაღწევად შრომაა საჭირო" და სხვ. ამგვარადვე ვწერთ მხატვრული ტექსტების საფუძველზე ჩამოყალიბებული თეზისების მიხედვით, მაგალითად: ,,ვეფხისტყაოსანს" ყოველ დროში უნდა ვსწავლობდეთ; პოეტი სიტყვით სამშობლოს უნდა ემსახურებოდეს; ადამიანი სილამაზეს უნდა აფასებდეს;ხალხს მორალური უფლება აქვს დამნაშავის დასჯისა; ადამიანს, უპირველესად, შემწყნარებლობა მოეთხოვება...

მსჯელობის წარსამართად ერთად შექმნილ რესურსს ვიყენებთ, როგორიცაადიდიფორმატის ქაღალდზე ჩამოწერილი სინტაქსური კონსტრუქციები (,,როგორც ჩანს," ,,ამაზე მეტყველებს ის ფაქტი..." , ,,ეს იმით აიხსნება...", ,,აქედან გამომდინარე..."), რაც აზრის მწყობრად ჩამოყალიბებასა და ცალკეული ნაწილებისერთმანეთთან მიზეზშედეგობრივად დაკავშირებაში ეხმარება მოსწავლეებს.

V ინტერვენცია

წერილობითი ფორმით მსჯელობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ლექსიკურ მარაგზე.იმისათვის, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ ,,ყოველდღიური ენობრივი ულუფის“ მოპოვება, შემდეგ სტრატეგიებს მივმართავ:

,,პირადი ლექსიკონის“ წარმოება;

უცხო სიტყვებით წინადადებების შედგენა.

სხვადასხვა თემაზე საუბრისას თვითონაც მრავალ უცხო სიტყვას, ლიტერატურის თეორიისთვის სახასიათო ტერმინს ვიყენებ, როგორიცაა კონტექსტი, ინტერპრეტაცია, ალუზია, ჟანრი, ასოციაცია, კონცეფცია... თუმცა მაიგივებელი კავშირის ჩართვით მოსწავლეებს მაშინვე ვუხსნი, რათა არა მარტო გაუგებარი არ დარჩეთ მათი მნიშვნელობა, არამედ ,,გაბედონ“ და წერისას თუ ზეპირმეტყველებისას თვითონაც გამოიყენონ, რადგან მხოლოდ პრაქტიკული დატვირთვით, მსჯელობისას შეიძლება სიტყვის/ცნების ,,გაცოცხლება.“

,,პირადი ლექსიკონის“ შექმნის იდეამ მოსწავლეები დააინტერესა. ყოველი ახალი ტექსტის შესწავლისას თავიანთთვის უცხო სიტყვებს ანბანის რიგზე შედგენილ სალექსიკონო რვეულში შესატყვის ლექსიკურ ერთეულთან ერთად იწერენ, რაც საფუძვლად ედება ლექსიკური მარაგის გამდიდრებას და ნაწერში ტავტოლოგიური შეცდომების მეტ-ნაკლებად შემცირებას. ამასთან, სიტყვების ჩაწერით უფრო ხანგრძლივად ამახსოვრდებათ მათი მნიშვნელობა, თან მათი სასაუბრო ენისთვის უცხო ლექსიკური ერთეულების ზუსტად გამოთქმასა და დაწერას ეჩვევიან და შეცდომებისგანაც მეტად ვიზღვევთ თავს.

მოსწავლეებისთვის განსაკუთრებულად სახალისოა ახლად შესწავლილი სიტყვების მეშვეობით ისეთი წინადადებების შედგენა, რომლებიც არა მარტო სინტაქსურად გამართული, არამედ არამედ მხატვრულად ღირებულიც რომ უნდა იყოს. ამ აქტივობით ჯგუფებში ვმუშაობთ, რათა იდეურად და ემოციურად მეტად მრავალფეროვანი იყოს გამოთქმული აზრი. პრეზენტაციისას ყველა თავის ,,შემოქმედებას“ წარმოადგენს და ერთად შემუშავებული კრიტერიუმებით ვაფასებთ ლექსიკონიდან ,,გაცოცხლებული“ შედგენილ წინადადებებს, რომლებიც სიტყვის ჩამოყალიბებულ აზრთან შესაბამისობასა და

მხატვრულობას ითვალისწინებს. შეფასება კი მოსწავლეებს არა მხოლოდ კრიტიკულ აზროვნებას, არამედ კარგი მკითხველისათვის დამახასიათებელ გემოვნებასაც უყალიბებს.

VI ინტერვენცია

აღიარებულია, რომ ,,ეფექტიანი სწავლა სოციალური ინტერაქციის გზით მიიღწევა და, შესაბამისად, სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო საშუალებაა თანამშრომლობით სწავლება“ (,,მასწავლებლის წიგნი“, მ. ჯალიაშვილი), რადგან ბავშვები ერთმანეთისაგან უფრო ხალისით სწავლობენ. ამისათვის მივმართავ სტრატეგიებს, როგორიცაა: ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, ურთიერთსწავლება.

ჯგუფებში მუშაობისას მოზარდები მეტად არიან ჩართული წერითი დავალების შესრულებისას. ხალისით ინაწილებენ საქმეს, სათანადო ციტატებს მოიძიებენ, დიაგრამებს ავსებენ, აზრს შეაჯერებენ, სანამ დაწერდნენ, ფრაზასა თუ სიტყვას წონიან. არანაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან შემდეგ ნამუშევრის პრეზენტაციას, რასაც თან ერთვის შენიშვნები (დადებითიც, უარყოფითიც), რომელთაც წარმოდგენის პროცესში იწერენ და შემდეგ კი პრეზენტატორს მოახსენებენ.

მოსწავლეებს განსაკუთრებით მოსწონთ შევსება ,,აზრთა გაზიარების ცხრილისა,“ რაც მათ თანამშრომლობას უწყობს ხელს და რედაქტირების უნარ-ჩვევებს უვითარებს. ამავე დროს, უკეთესად სწავლობენ ერთმანეთის შეცდომებზე. ეს აქტივობა ერთნაირად დიდ პასუხისმგებლობას სძენს ნაწერის ავტორსაც და ,,გამსწორებელსაც.“ ამასთან, ნამუშევრის პირველადი ვარიანტის გაუმჯობესებას ,,ავალდებულებს.“

VII ინტერვენცია

მოსწავლეთა ყოველდღიური წერითი ნამუშევრებისთვის შევქმენისპეციალური საქაღალდე, რათა მისი საშუალებით განმეხილა, გამეანალიზებინა და თვალი მედევნებინა მოზარდთა წინსვლისთვის,დამედგინა მათი ინდივიდუალური საჭიროებები, უყურადღებოდ არ დამრჩენოდა მათი პროგრესი თუ პრობლემები. შეფასების კრიტერიუმები, მსჯელობას რომ შეეხებოდა(დავალების პირობის გაგების, მსჯელობის ლოგიკურობის, მოსაზრების არგუმენტირებისა და ტექსტური მასალით გამყარების მიხედვით შექმნილი), წინასწარ გავაცანი მოზარდებს და თითოეული მათგანის მნიშვნელობა და დანიშნულება ავუხსენი. ნამუშევარში კი მათ საფუძველზე ვუწერდი განმავითარებელ კომენტარებს. მითითებული შენიშვნები, ვერ ვიტყვი, ერთბაშად გვაძლევდა შედეგს, მაგრამ, ვფიქრობ, შეფასების ასეთი ფორმა არა მარტო შეცდომებზე აფიქრებდა მოზარდებს, უფრო უშუალო ურთიერთობას აყალიბებდა ჩვენ შორის, რაც, მოგეხსენებათ, მეტად ფასობს სწავლება-სწავლის ბარიერების გადალახვისას.

მოზარდები ინტერესით ელოდებოდნენ ,,გასწორებულ“ ნამუშევარს და ყურადღებით კითხულობდნენ შეცდომის გასწვრივ დართულ შენიშვნას, რომელიც ხან დადებითიც იყო და მათ პროგრესზე მეტყველებდა, ხან კი - შემდეგში გასათვალისწინებელი, რათა იგივე შეცდომა აღარ დაეშვათ უკვე შემაჯამებელი დავალებების სამსჯელო საკითხების წერისას. იცოდნენ რა, თითოეული ასეთი კომენტარი პირადად მათ ეკუთვნოდათ, მეტი ღირებულებაც ამ მხრივ ჰქონდა ყოველ ფრაზას. საჭიროებით შევახსენებდი იმ კონკრეტულ ცოდნას, რომელიც უნდა შეეძინათ, ან უნდა განემტკიცებინათ. თვითონაც მომმართავდნენ კითხვით,თუკი რამე გაუგებარი რჩებოდათ. ყოველდღიური წერითი დავალებების ანალიზმა დამარწმუნა, რომ ამგვარი მიდგომა მეტად შედეგიანია და, ვთვლი, მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდ ძალისხმევას მოითხოვს ჩვენგან, ღირს, რათა მოსწავლის ნამუშევარში პასუხის ადგილზე სიცარიელე არ გვხვდებოდეს. ამ ინტერვენციამ მნიშვნელოვნად შეცვალა წერის ხარისხის მაჩვენებელი ჩემ მიერ შემოწმებული უკანასკნელი სამი შემაჯამებელი დავალების მიხედვით.


შემაჯამებელი დავალებების მონაცემები
71%
29%
0%
მსჯელობს
შინაარსს წერს
პასუხის ადგილს ცარიელს ტოვებს

თავი V.

რეკომენდაციები

პედაგოგიური კვლევის შედეგად რეკომენდაციას ვაძლევქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს:

- ზოგადად, წერითი მეტყველების განვითარებას მეტი დრო და ყურადღება დაუთმონ საგაკვეთილო პროცესში, რათა მოსწავლეებმა წერილობითი ფორმით მსჯელობის უნარ-ჩვევები განივითარონ;

- გამოიყენონ მრავალფეროვანი აქტივობები, რათა მოზარდები სათანადოდ დაეუფლონ წერის სტრატეგიებს;

- წერითი მეტყველების სწავლებისას მეტი ყურადღება მიაპყრონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

- წერითი ნამუშევრის შესწორებისას განმსაზღვრელთან ერთად განმავითარებელი შეფასებაც გამოიყენონ;

- ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ იზრუნოს ისეთი პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაზე, რაც მოსწავლეებს წერის მოტივაციას აუმაღლებს;

- კოლეგებმა ხშირად გავუზიაროთ ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება-მიგნებები.

ინტერვენციების შეფასება

კვლევის პროცესი საინტერესო გახადა ჩემ მიერ მიზანმიმართულად დაგეგმილმა ინტერვენციებმა. მოსწავლეებისთვის განსხვავებული ფორმატით შეთავაზებულმა აქტივობებმა მათი მოტივაცია აამაღლა. ტექსტების შესწავლის პარალელურად პრობლემურ საკითხებზე წარმართულმა დისკუსიებმა მოზარდებს კრიტიკული აზროვნებისაკენ უბიძგა. მათი ცოდნა ბანკში დასაბანდებელ ფულს ნამდვილად აღარ ჰგავდა. ერთობლივად შექმნილმა რესურსებმა, მათი მეშვეობით წარმართულმა საგაკვეთილო პროცესმამეტად ყურადღებიანი და მონდომებული გახადა მოზარდები წერითი დავალებების შესრულებისას. ინტერვენციებმა ნათელყო, რომ სწავლის ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია, თუმცა ეტაპობრივად შეცვლასა და გამრავალფეროვნებას მოითხოვს ჩვენ მიერ მოსწავლეთათვის შესათავაზებელი აქტივობები, რათა პროგრესი უწყვეტად გაგრძელდეს.

კვლევის შედეგია ის, რომ მოსწავლეები ყოველდღიურად წერას მიეჩვივნენ. გაკვეთილზეთვითონაც შეუხსენებიათ - ,,ახლა არ ვწეროთ, მასწ?“ შედეგი კი ასეთია: ის, ვისაც სამსჯელო კითხვაზე პასუხის ადგილი ცარიელი რჩებოდა, წერა დაიწყო, შეიძლება ჯერჯერობით სუსტია მისი ნამუშევარი, მაგრამ ამ ეტაპისთვის ესაა მისი წინსვლა, ვის ნაწერშიც შინაარსი სჭარბობდა მსჯელობას,უკვე ახერხებს რამდენიმე წინადადებით საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბებას. გაცილებით დახვეწილად წერენ საშუალო დონის მოსწავლეებიც, რაც აზრის მწყობრად გადმოცემაში, გამართული ენობრივი ფორმებით წერაში, მსჯელობის ნაწილების ლოგიკურ დაკავშირებაში გამოიხატება. საგაკვეთილო პროცესში რომელიმე მოსწავლეთუ დაიწუწუნებს - წერას ვერ ვაგრძელებო, ჩემამდე მისივე გვერდით მჯდომი აშველებს სიტყვას.რაც მთავარია, ცარიელი ფურცლის შიში გაუქრათ.

განსაკუთრებით მოეწონათ საკვანძო სიტყვაზე ,,სამწუთიანი ესეის“ წერა. მეტადრე გაახალისა თავისუფლებამ - სიტყვა, რომელთანაც შეჩერდებოდნენ და წერას ვეღარ გააგრძელებდნენ, იქამდე ეწერათ, ვიდრე ახალი აზრი გაუჩნდებოდათ. ზოგიერთი

მათგანი ეჭვითაც კიმიმზერდა, ნამდვილად შეეძლო თუ არა ასე მოქცევა. თავდაპირველად ამგვარმა შეთავაზებამ რამდენიმე გაართო კიდეც, მაგრამ მალე მიხვდნენ, ფუჭად გარჯას ღირებულის მოფიქრება-დაწერა რომ სჯობდა. გარკვეული დროის შემდეგ ერთი და იმავე სიტყვის წერა სულაც აღარახარებდათ, პირიქით, მისგან თავის დაღწევას ფიქრობდნენ რამე აზრიანის გადმოცემით.
არანაკლები ღირებულების იყო ვიზუალური მასალის გამოყენებით წერა. თვითონაც აღიარებდნენ, რომ ხილული საშუალებები (ფოტო, სურათი...) წარმოსახვას უძლიერებდათ და შემოქმედებით მუხტს სძენდათ. აქტიურობდნენ რედაქტირებისასაც. ურთიერთსწავლებამ უკეთ გააზრებინათ საკუთარი შეცდომები,რომელთა საფუძველზე ერთობლივად ჩამოვაყალიბეთ რჩევები და საკლასო რესურსად ვიყენებთ. როგორც მასწავლებელს, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევამ დიდი გამოცდილება შემძინა. სხვა თვალით დამანახვა სწავლა-სწავლების პროცესი, კერძოდ, მივხვდი, რომ წერის უგულებელყოფით ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილების ჩატარება ისევე უშედეგოა, როგორც ჩვენ მიერ გამოთქმული ლიტონი პრეტენზია მოსწავლეების წერითი დავალებების უხარისხობის გამო ,,თვინიერ საქმისა.“
სირთულეს წავაწყდიიმ მხრივ, რომ მოსწავლეთა ნამუშევრებში უამრავი სხვადასხვაგვარი ტიპის შეცდომა მხვდებოდა (ყველაზე უხეში პუნქტუაციაში), რასაც ამ კვლევის ფარგლებში ერთბაშად ვერ აღმოვფხვრიდი, თუმცაღა ცალკეულ შემთხვევაში ვუთითებდი მათ.აღნიშნულ საკითხზე მუშაობა სერიოზულად გვჭირდება, რათა თეორიული ცოდნა და უნარი ჩვევად ექცეთ მოზარდებს და მხოლოდ სავარჯიშოებში კი არ პოულობდნენ სასვენი ნიშნის ადგილს, როცა თვითონ მსჯელობენ წერილობით, მაშინაც სვამდნენ მას. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჩართულ სიტყვებთან, რომლებსაც აქტიურად იყენებენ (,,ჩემი აზრით,“,,ვფიქრობ,“ ,,მიმაჩნია“...), მძიმის დასმა აღარ ავიწყდებათ. რა თქმა უნდა, ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ დასაწყისისთვის იმედის მომცემია, რომ შემდეგი ეტაპისთვის ყოველდღიურად წერა და ჩემ მიერ განმავითარებელი კომენტარებით ნაწერების ამ მხრივ აქცენტირებულად შეფასება მეტ შედეგს გამოიღებს, რისი თქმის უფლებასაც კვლევის ფარგლებში განხორციელებული ინტერვენციები მაძლევს, რომელთა საშუალებითაც წერს ყველა მოსწავლე, აკადემიური მოსწრების მიუხედავად, რაც წარმატებად მიმაჩნია იმ სტერეოტიპული დამოკიდებულების ფონზე, შიშით რომ ამბობდნენ: ,,მე წერა არ შემიძლია, მასწ.“

პორტფოლიოში თავმოყრილი ნამუშევრების ანალიზით დავრწმუნდი, რომ, ერთი მხრივ, მოსწავლეებთან ერთად, მათი აზრის გათვალისწინებით, დაგეგმილი მრავალფეროვანი აქტივობები ერთიორად ზრდის მათ პასუხისმგებლობასა და წერითი დავალებების ხარისხს, მეორე მხრივ კი, წერითი ნამუშევრების შეფასებისას განმავითარებელი კომენტარების გამოყენება.ვფიქრობ, ამ მიმართულებით მუშაობა, ძიება კვლავაც უნდა გავაგრძელო, რადგან წერის უნარის განვითარება მოსწავლისაგან კომპლექსურ ცოდნას მოითხოვს, ჩვენგან კი - პრობლემების მიზეზშედეგობრიობის გამუდმებულ კვლევას, რათა წერილობითი მსჯელობის სწავლებისთვის მეტ გამოცდილებას ვიძენდეთ და სათანადოდ წარვმართავდეთ მოზარდებთან მუშაობას. დაბოლოს, უმბერტო ეკოს სიტყვებს მოვიხმობ: ,,მიუხედავად იმისა, რა ადგილს დაიკავებს თქვენს ცხოვრებაში მეცნიერული მუშაობა, მიხვდებით, რომ ... მუშაობას ფუჭად არ ჩაუვლია ... ის, რაც საკვალიფიკაციო ნაშრომის უმნიშვნელო ნაწილი იყო, ამჯერად შესაძლოა ახალი გამოკვლევის საგნად იქცეს.“ ალბათ, იგივე უნდა ვთქვათ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაზეც. მართლაც, მთავარი ხომ ისაა, ,,ვეძიებდეთ,“ რადგან, ,,არ არსებობს იდეალური ფორმა, მეთოდი თუ აქტივობა წერითი და ზეპირიმეტყველების შესასწავლად,“ რასაც ლოგიკურად დავამატებდი, უნდა არსებობდეს წადილი ასეთი სასურველ- შესაძლებელი თუ უკეთესი ხერხების, საშუალებების პოვნისა აღმოჩენების გზაზე.

თავი VI.

დასკვნა

ჩემ მიერ წარმართული პედაგოგიური კვლევის მიხედვით შეიძლება დავასკვნა, რომ წერილობითი ფორმით მსჯელობის პრობლემებს იწვევს:

- მოსწავლეებისაგან წერითი მეტყველებისთვის საჭირო სტრატეგიების არცოდნა;
- ცარიელი ფურცლის შიში;
- წიგნიერების დაბალი დონე, წერით ნამუშევრებში მწირი ლექსიკით გამოხატული;
- დაუხვეწავი ენობრივი ფორმებით წერა;
- გაკვეთილზე ნაკლები დროის დათმობა წერილობითი ფორმით მსჯელობისთვის;
- ერთფეროვანი წერითი დავალებები, რაც მოსწავლეების მოტივაციას ამცირებს;
- ტექსტებით გადატვირთული სახელმძღვანელო;
- განმავითარებელი შეფასების უგულებელყოფა.

უმრავლესობა ინტერვენციებისა, რომლებიც კვლევისას განვახორციელე, შედეგიანი იყო, რადგან მან განაპირობა არა მარტო მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, არამედ ჩვენ შორის უფრო უშუალო, ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული ურთიერთობის ჩამოყალიბება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.,,ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები,“ 2004 წ., საქართველოს მთავრობის დადგენილება
https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0;
2.,,წერის ტექნიკა,“ გ. შაბაშვილი, ნ. შარაშენიძე, თბილისი, 2008;
3.,,ქართული ლიტერატურის სწავლების თეორია და პრაქტიკა,“ ნ. ღამბაშიძე, თბილისი, 2011;
4.,,წიგნიერება,“ პ. პაპავა, თ. ჭანტურია, თბილისი, 2012 (ელექტრონული ვერსია)
http://cdi.org.ge/uploads/pages/189517421wignierebaavtorebipaatapapavatamarchanturia-40.pdf;
5.მანანა ბოჭორიშვილი, ,,არგუმენტირების თეორია და ანალიტიკური წერა“
http://www.mastsavlebeli.ge/uploads/resursebi/boWoriSvili.pdf
6. ,,წერითი მეტყველების სწავლების სტრატეგიები,“ ქ. თოფაძე, თბილისი, 2011;
7. ,,კრიტიკული აზროვნების შესახებ,“ ნ. ლომიძე, 2 ოქტომბერი, 2015
http://mastsavlebeli.ge/?p=1577 (ინტერნეტგაზეთი)
8.,,როგორ განვუვითაროთ მოსწავლეებს წერის უნარ-ჩვევები,“ მ. ფარეხელაშვილი, 24 მარტი, 2016
http://mastsavlebeli.ge/?p=9588 (ინტერნეტგაზეთი)
9.ეროვნული სასწავლო გეგმა (ელექტრონული ვერსია)http://ncp.ge;
10.,,მასწავლებლის წიგნი,“ თ. კობახიძე, გ. ნოზაძე, მ. ინასარიძე, მ. ბოჭორიშვილიმასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2016

http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2017/01/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D.pdf;

11.,,მასწავლებლის წიგნი," სოფიკო ლობჟანიძე, მაია ფირჩხაძე, მანანა რატიანი, ნინო ლომიძე, ნინო ჭიაბრიშვილი, რუსუდან თედორაძე, მაია ჯალიაშვილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2016 http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2017/01/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98.pdf

12. ,,წერითი მეტყველების განვითარება - სწავლა-სწავლების აქილევსის ქუსლი," ნინო მასურაშვილი, 4 მარტი, 2014 http://mastsavlebeli.ge/?p=2088 (ინტერნეტგაზეთი)

13. ,,როგორ ვმუშაობ," მ. ჯავახიშვილი, (ქართული ენა და ლიტერატურა, მე-8 კლასი, ,,სწავლანი," 2012)

14. ,,როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი," უმბერტო ეკო, არეტე, 2014

15. ინტერვიუ ხულიო კორტასართან

http://arilimag.ge/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A3-%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97/;

16. მარიოვარგასლიოსა – ,,სამყარორომანებისგარეშე,“ http://arilimag.ge/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A7/

17.უმბერტო ეკო - ,,ვარდის სახელი,“ ბოლოთქმა http://www.biblioteka.litklubi.ge/admin/files/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98.pdf

დანართი 1. (მოსწავლეთა კითხვარი - ფოკუსჯგუფი)

1.თქვენი აზრით, რა არის წიგნიერება?

2.რა როლი აქვს კითხვას თქვენს თქვენს ცხოვრებაში?

3.თუ გთხოვდნენ, გაეცნობოდით თუ არა ეროვნულ სასწავლო გეგმას იმისათვის, რომ შეგეტყოთ, რა მოგეთხოვებათ წერის მიმართულებით, როგორც მერვეკლასელებს?

დიახ არა

4. როგორ ფიქრობთ, წერითი დავალებების სისტემატურად შესრულება შეგიწყობდათ თუ არა ხელს უკეთესად სწავლაში?

დიახ არა

5.წერით ნამუშევრებში მასწავლებლის მიერ ხაზგასმულ შეცდომებს თუ აანალიზებთ?

დიახ არა

6. რა განწყობა გეუფლებათ მასწავლებლის მიერ აღნიშნული შეცდომების დანახვისას?

7.რა სირთულეებს აწყდებით წერითი დავალების შესრულებისას ან, თუ საერთოდ არ ასრულებთ, რა არის ამის მიზეზი?

8.როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისათვის, რომ წერილობითი ფორმით მსჯელობა შეგეძლოთ?

9.თანატოლისგან ურო ადვილად სწავლობთ თუ უფროსისგან?

10.როგორ უნდა დაიგეგმოს, თქვენი აზრით, გაკვეთილი, წერა რომ ისწავლოთ?

11. უმბერტო ეკო ამბობს: ,,წერა ჩვევის საკითხია.“ თქვენ როგორ ფიქრობთ?




წაკითხული წიგნის შესახებ თუ მსჯელობთ მეგობართან?
9%
24%
67%
ყოველთვის
იშვიათად
არასოდეს


რამდენად სისტემატურად ასრულებთ წერით დავალებებს?
19%
29%
52%
ყოველთვის
ხანდახან (კვირაში ერთხელ ან ორჯერ)
არსადროს

დანართი 2. (მასწავლებლის ინტერვიუ)

1.ყველაზე მეტად რომელი მიმართულებით გიძნელდებათ მუშაობა?

2.თქვენი აზრით, რატომ უჭირთ მოზარდებს, ზოგადად, წერა?

3.როგორ ფიქრობთ, წერითი მეტყველების გასავითარებლად რა სიხშირით უნდა დავავალოთ მოსწავლეებს მუშაობა წერის მიმართულებით?

(ყოველდღე, კვირაში ერთხელ, ორჯერ, სამჯერ)

4.თქვენი დაკვირვებით, რატომ წერენ მოზარდები მსჯელობის ნაცვლად შინაარსს?

5. რომელი აქტივობებით გიმუშავიათ ეფექტიანად მოსწავლეებისთვის მსჯელობის უნარ-ჩვევების გასავითარებლად?

6.წერითი ნამუშევრის შეფასებისას განმსაზღვრელს უფრო ხშირად მიმართავთ თუ განმავითარებელს?

7.თქვენი აზრით, შეფასების რომელი ფორმა წაადგება წერითი უნარ-ჩვევების განვითარებას?

8.თუ ეცნობით წერითი სტრატეგიების შესახებ ლიტერატურას და თუ ითვალისწინებთ მას სწავლების პროცესში?


როგორი ტიპის წერითი დავალებების შესრულება უჭირთ მოსწავლეებს განსაკუთრებით?
0%
100%
შესწავლილი ტექსტის კითხვებზე პასუხი
ტექსტის პერიფრაზი
შესწავლილი ტექსტის შესახებ მსჯელობა


დაეხმარება თუ არა განმავითარებელი კომენტარი მოზარდს წერის უნარ-ჩვევის განვითარებაში?
28%
14%
58%
დიახ
არა
მეტ-ნაკლებად

რეფლექსია

2018-2019 სასწავლო წლის პირველ სემესტრში გადავწყვიტე, კვლევა წარმემართა მე-8 კლასში თემაზე - ,,მსჯელობის წერილობითი ფორმით გადმოცემის პრობლემები და მათი გადაჭრის გზების ძიება.“

იქიდან გამომდინარე, რომ მოზარდების ერთი ნაწილი საერთოდ ცარიელს ტოვებდა პასუხის ადგილს, მეორე კი მსჯელობის ნაცვლადშინაარსს წერდა, მიზნად დავისახე ზემოაღნიშნული საკითხის შესწავლა, მისი გამომწვევი პრობლემების მიზეზშედეგობრიობის კვლევა და სიძნელეების გადასაჭრელად შესაბამისიინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება.

კოლეგებთან აქტიური თანამშრომლობა,აზრის გაზიარება და მათგან განხორციელებული ინტერვენციების შედეგების სათანადო შეფასება კვლევის პროცესსსაინტერესოს ხდიდა და დაბრკოლებების გადალახვაში მეხმარებოდა.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, მასწავლებლები თვითონვე იჩენდნენ ინიციატივას, ინფორმაცია მიეღოთ მოზარდთათვის შეთავაზებული აქტივობებისა და წერითნამუშევრებში მათი საშუალებით ასახულიწარმატების შესახებ. მონაცემთა შეგროვებისთანავე შევხვდი და გავაცანი გაანალიზებული შედეგები. კოლეგების დახმარებით გადავწყვიტე, რა ღონისძიებებისათვის მიმემართა, რათა წერილობითი ფორმით მსჯელობის პრობლემებს გავმკლავებოდი: სულ ცოტა, მოსწავლეთა ცარიელი ფურცლის მიმართ შიში დამემარცხებინა და მიზანმიმართულად მემუშავა, მით უფრო, რომ ამხელა სირთულის მქონე საკითხს ვიყავი შეჭიდებული.

 შეხვედრისას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სტანდარტებს კიდევ ერთხელ გავეცანით. თეორიულ ცოდნას პრაქტიკული გამოცდილებაც დავურთეთ და საინტერესოდ დაწყებული დიალოგი დისკუსიად გვექცა, თუ რომელი მეთოდი როგორ იმუშავებდა და დასახული მიზნისთვის რომელი ინტერვენციები უნდა

მომერგო.რამდენიმე კოლეგისგან საინტერესო აქტივობებსაც გავეცანი. მათ შორის, განსაკუთრებულად კარგი შედეგი ზემოთ ნახსენებმა ,,იდეურ-მხატვრულმა რეიტინგმა“ გამოიღო. მოზარდებს ყველაზე მეტად სწორედ ეს ხერხი მოეწონათ ტროპის სახეებზე მუშაობისას.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგებიკათედრის წევრებს გავაცანი. კოლეგებს მადლობა გადავუხადე თანადგომისათვის და საკუთარი გამოცდილება გავუზიარე. კერძოდ, ვესაუბრე, რა წარმატება ჰქონდა ჩემ მიერ საგაკვეთილო პროცესშიდაგეგმილ ყოველდღიურად წერასა და ნამუშევრების განმავითარებელი კომენტარებით შესწორებას, რამაც არა მხოლოდ გაკვეთილზე მუშაობას, არამედ საშინაო დავალებების შესრულებასაც მიაჩვია მოზარდები, რისი წყალობითაც, ცარიელი ადგილის ნაცვლად ფურცელზე ნაწერს ვხედავდი. ჩემი რეკომენდაციები, ვთვლი, მათ არა მარტო წერითი მეტყველების სწავლებაში, არამედ პედაგოგიური პრაქტიკის შესახებ კვლევაზე ფიქრსა და მის დაგეგმვა-განხორციელებაში მნიშვნელოვნად დაეხმარება და ახალი იდეებითაც ასაზრდოებს.

კოლეგებმა მუშაობა დადებითად შემიფასეს, თუმცა შენიშვნებიც მომცეს, რომელთაგან საგულისხმოდ ლექსიკურ მარაგზე მუშაობის შესახებ აღნიშნული მიმაჩნია, რადგან თვითონაც უკმაყოფილო ვიყავი ორიოდე აქტივობის საფუძველზე განხორციელებული ინტერვენციით.მათ სამომავლოდ სათანადო ლიტერატურით დახმარება, ასევე, გამოცდილების გაზიარება აღმითქვეს და წარმატება მისურვეს.

რაც შეეხება კვლევის საბოლოო ვერსიას, მის პრეზენტაციაზე დასასწრებად კათედრის წევრები, შეფასების ჯგუფის წევრები და ყველა დაინტერესებული პირი მოვიწვიე. იგი power point-ით წარმოვადგინე და დასრულების შემდეგ კოლეგებისაგან დასმულ კითხვებს ვუპასუხე, რომლებიც, ძირითადად, მიზნის განსაზღვრას, კვლევის გეგმის შედგენას, ინტერვენციების დაგეგმვასა და რეკომენდაციებს შეეხებოდა.მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეს განმავითარებელი შეფასების მიმართ, რომლითაც წარვმართე კვლევის პროცესი. შევეცადე, დამაჯერებლად მესაუბარა აღნიშნულ საკითხზე და ამ მეთოდით მუშაობის ინტერესი მათთვისაც გამეჩინა, რათა სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად თვითონაც გამოეყენებინათ იგი განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად, რადგან, მოგეხსენებათ, ეს უკანასკნელი მხოლოდ საბოლოო ინფორმაციის მომცემია, ხოლო

განმავითარებელი მოზარდის აკადემიური ზრდის დინამიკას ნათელყოფს (რა დონეს ფლობდა და რა დონეს ფლობს) და, რაც მთავარია, მეტად აქტიურად რთავს მოსწავლეს საგაკვეთილო პროცესში. აქტუალობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, შემდეგი პედაგოგიური კვლევა სწორედ ამ საკითხის მნიშვნელობისა და მისი უგულებელყოფით გამოწვეული პრობლემების შესახებ დავგეგმო.